დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „იმედის“ მიერ „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ჭუჭულაშვილი
წევრი:
ალექსანდრე კეკენაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 206156817

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 21 თებერვლის №204022 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ იმედში დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტების შესაბამისობის შემოწმების მიზნით (პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა). ექსპერტების მიერ განხილული და შესწავლილი იქნა, დაწესებულების როგორც წინასწარ გადმოგზავნილი, ისე ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის შესაბამისადაც დაწესებულებას სურს „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა 44 პროფესიულ სტუდენტამდე (32 პროფესიული სტუდენტით გაზრდა). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, კოლეჯი აკეთებს სხვადასხვა დასაქმების პორტალებზე გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზს. დასაქმების კერძო სააგენტოს, hr.ge -ს მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიების უმრავლესობა მოიცავს სწორედ ისეთ პოზიციას, როგორიცაა ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2022 წლის მიღებისათვის პროგრამაზე დარეგისტრირდა გამოცხადებულ ადგილებზე სამჯერ მეტი აპლიკანტი.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2023 წლის 13 მარტს განხორციელდა ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ იმედში (მის: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47/49 ბოჭორმის №8). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

–

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

–

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

–

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 20 ივლისის №36 ბრძანება (ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 14 ივნისის №14 ბრძანებით)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №47/49 / ბოჭორმის ქ. №8
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	44
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	შეესაბამება	შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	შეესაბამება	შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება - 44 პროფესიული სტუდენტი (2 ცვლაში). საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ABC სასწავლო გარემო (№11 აუდიტორია). აღნიშნულ სასწავლო გარემოში განთავსებულია მაგიდები და სკამები პროფესიული სტუდენტისთვის და პროფესიული მასწავლებლისთვის. აგრეთვე №11 აუდიტორიაში განთავსებულია: 22 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, და შესაბამისი რაოდენობის სამუშაო ადგილი, პრინტერი, ტელევიზორი/მონიტორი, დაფა, კარადა, და აქვე განლაგებულია დარგობრივი სწავლებისთვის განკუთვნილი, სტანდარტით გათვალისწინებული აღჭურვილობა.
ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში კოლეჯს მითითებული აქვს 18 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 5 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი. ჩვენს მიერ მათი პირადი საქმეების შემოწმების შედეგად დადგინდა რომ ყველა მათგანს უდასტურდება დარგობრივი კომპეტენცია. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.
ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულებას შერჩეული ჰყავს ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებელად პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კომპეტენცია.
ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

4. ექსპერტთა შეფასებით პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გაესაუბრება.
ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ყველა მათგანი და დადასტურდა მათი ფონდში არსებობა. ბიბლიოთეკის მომსახურების ფარგლებში შესაძლებელია ამობეჭდვაც, აგრეთვე გამოყოფილია კომპიუტერები პროფესიული სტუდენტებისთვის.
ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, (ცვლილება 2022 წლის 30 დეკემბრის №83 ბრძანებით). აღნიშნული დოკუმენტის მე–17 მუხლი არეგულირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურას.
კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებს ბიბლიოთეკა ემსახურება მათი საჭიროების გათვალისწინებით.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. „ინფორმაციული ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის მიხედვით, თუმცა ხარჯის ჯამური ოდენობა არ აღემატება კოლეჯის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით დაგეგმილ შემოსავლებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის ანალიზი;
2. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის დასაბუთება;
3. კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“
5. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი
9. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგია“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. პროგრამას ახლავს სასწავლო გეგმა, რომელიც აწყობილია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობით, მოდულზე დაშვების წინაპირობები დაცულია. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს მეცადინეობის განრიგებს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას.

სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და ელ.ფოსტაზე მიწოდების გზით. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია კოლეჯის ვებგვერდზეც.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულებისა და გავლილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული „ინფორმაციული ტექნოლოგია“ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს. პროფესიულ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხორციელდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, რა დროსაც მათ მიეწოდებათ ყველა ინფორმაცია პროგრამის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების, შესაძლებლობების, პროგრამის განხორციელების თავისებურებებისა და სხვა საკითხების შესახებ.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯში დარეგულირებულია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, ამ მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.
ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება, კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. „ინფორმაციული ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია სასწავლო პროცესში გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. „ინფორმაციული ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

კოლეჯში შემუშავებულია მექანიზმი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობა წარმოიშობა შემდეგი გარემოებების არსებობისას: სსსმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს,
დაწესებულებამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და პროფესიული სტუდენტების, მათი წარმომადგენლების მიერ გაცნობის ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტები.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ინტერვიურებისას პროფესიულ სტუდენტებმა დაადასტურეს კოლეჯის მიერ მათი საჭიროებების გათვალისწინებისა და დაკმაყოფილების ფაქტები.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. „ინფორმაციული ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მოდულებს გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში და პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში, რომელთა ჯეროვნად განხორციელებისათვის შპს საზოგადოებრივ კოლეჯ იმედს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ ორგანიზაციებთან შპს ,,მბს მულტიმედია და ბიზნეს სისტემები“- (44 პროფესიულ სტუდენტზე), ინდ.მეწარმე ნიკოლოზ ბალახაძე(კომპიუტერული სერვისი „ლეპტოპ სერვისი“) - (22 პროფესიულ სტუდენტზე).
ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა კოლეჯთან კონსტრუქციული თანამშრომლობა, ისაუბრა ამ თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ საჭიროებს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს. დაწესებულებაში ზოგადი უსაფრთხოების ნორმები უზრუნველყოფილია.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ და მისი დანართები;
2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი:
3. კოლეჯსა და პარტნიორ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
4. პროფესიული სტუდენტებისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მათი გაცნობის მტკიცებულებები;
5. პროფესიულ სტუდენტებთან, კოლეჯის პერსონალთან, კურსდამთავრებულებებთან და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით. დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი შეფასების სისტემას, შეფასების ინსტრუმენტებსა და შეფასების უწყისის წარმოების მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტი ადგენს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების სისტემის არსებობის სავალდებულოობას.
შეფასების ინსტრუმენტებს ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელი. კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა და განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენის ვადები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალიდაციის პროცესში რთავს პროგრამის ხელმძღვანელს ან სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს, რომლებიც ახორციელებენ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. ხარვეზების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით, შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება პროფესიულ სტუდენტის შეფასების მიზნებისათვის. დაუშვებელია შეფასების დროს ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, რომელიც არ არის შეთანხმებული კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან.

კოლეჯში დარეგულირებულია განმეორებითი შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებიც, რომელთა შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების საკითხი დადასტურებულ იქნა პროფესიულ სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები, რიგ შემთხვევებში გაცემულია რეკომენდაციები.

შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციისა და შეფასების ადმინისტრირების პროცესები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და დაცულია სამართლიანობის პრინციპები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ნაწილში, რაც დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურების გზით, მათ შორის კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთათვის შეფასების შედეგების გაცნობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არ არის ვალიდური.

2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზნები, ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირების საკითხები, მათ შორის ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, ვერიფიკაციის პროცესში რისკ ფაქტორების განსაზღვრის წესი, ვერიფიკაციის დასკვნების შედგენისა და განხილვის მიდგომები, რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შედგენისა და ამ გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა წარმოადგინა 2022 წელს ჩატარებული შეფასების სისტემის შემოწმების ანალიზი - ,,შეფასების სისტემის ვერფიკაციის დასკვნა“ სადაც ჩანს, რომ დაწესებულებამ ჩაატარა ვერიფიკაცია 5 პროგრამის ფარგლებში, შეადგინა რისკ ფაქტორები, მოიწვია გარე ვერიფიკატორები და შედეგები ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა რეკომენდაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით. დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების/მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვის, შევსებისა და შენახვის წესებს.
შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.
პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები ფორმდება შესაბამისი უწყისით. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს ან პროგრამის ხელმძღვანელს სათანადო აღრიცხვის მიზნით. საბოლოოდ კი პროგრამის ხელმძღვანელი მონაცემებს გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც მტკიცებულებებს აღრიცხავს ელექტრონული ან მატერიალური ჟურნალის საშუალებით.
მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალს ავსებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული სტუდენტების სახელი და გვარი, ჯგუფის ნომერი, პროგრამის დაწყებისა და დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა, მტკიცებულებების შენახვის ადგილი. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.
კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით იქნა გადამოწმებული.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით. დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს შეფასების შედეგების გათვალისწინებას პროფესიული სტუდენტების სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.
შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.
პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად ხდება პროფესიული სტუდენტისათვის რეკომენდაციების გაცემა, პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.
აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და კურსდამთავრებულებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
2. კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა;
3. შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები;
4. პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები;
5. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
6. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
8. პროფესიულ სტუდენტებთან, პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

04.04.2023წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: